№ 116 1877—1897 № 116

შაბათი, 14 ივნისი 1897 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| ·1 | . . . 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 | . . . 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| · | . . . 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 1 | . . 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 1 | . 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

შაბათი, 14 ივნისი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**„ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“** გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 14 ივნისს, შაბათს, საღამოს 8 საათს, დანიშნულია **წლიური საზოგადო კრება** ამხანაგობის წევრთა.

კრების საქმენი:

1) განხილვა და დამტკიცება 1896 წლის ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება ამ 1897 წლის ხარჯთ აღრიცხვისა.

3) არჩევა გამგეობისა, სარედაქციო და სარევიზიო კამისიების წევრთა.

4) მიღება ახალ წევრთა.

5) დივიდენდის განაწილება.

(3—6—3)

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა ორი თვის ვადით სამკურნალო წყლებზედ წასასვლელად ტფილისს-ბორჩალოს ნაწილის მომრიგებელი შუამავალი გუბერნსკი სეკრეტარი თავ. ჩოლოყაშვილი.

გადაყვანილ იქმნა კრეგნის ქალაქის პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელე ივანე არონიშიძე—ახალციხის მაზრის პოლიციის სამმართველოში ბოქაულის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

*** საქართველოს ექსარხოსს ტფილისის გუბერნატორისათვის გაუგზავნია დასამტკიცებლად თელავის მაზრის სოფლის საზოგადოებათა განაჩენები: კალაურისა—საზოგადო ხარჯით სკოლის სახლის აგების შესახებ, შილდისა და ახალ-გავაზისა—საეკლესიო-სამრევლო სკოლების სამეურნეო განყოფილებებით დაარსების შესახებ.

*** როგორც 1896 სამოსწავლო წლის ანგარიშიდგანა სჩანს, ტფილისში სულ 105 სხვა-და სხვა სასწავლებელი ყოფილა, მათ შორის 9,131 ვაჟი და 6,454 ქალი სწავლობდა თურმე.

*** კავკავის რკინის გზის საზოგადოებას აზრადა აქვს შავის ზღვის ნაპირას რკინის გზის ორი ახალი შტო გაიყვანოს: ერთი ახალ-ათონამდე და მეორე კი სოხუმის მახლობლად. რკინის გზის მმართველობა უკვე შესდგომია ამ საქმისათვის საჭირო გამოკვლევას.

*** წელს ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 61 მოსწავლე ქალმა, მათ შორის ქართველი ოთხია: ქიტუაშვილი ნინო, კორინთელი ოლღა, სულხანიშვილი თამარა და უტარნიშვილი სოფიო. ნინო ქიტუაშვილისამ მიიღო ოქროს მედალი და თამ. სულხანიშვილისამ—ვერცხლის მედალი.

*** 1896 წელს ტფილისის პასტერის საბაქტეოროლოგიო სადგურში 240 ავადმყოფი ყოფილა: 147 მამაკაცი, 80 დედაკაცი და 3 ბავშვი. მათ შორის 220 დაკბენილი ყოფილა ცოფიანის ძაღლისაგან, 1—მგლისა, 6—ცხენისა, 2—კატისა და 1—ვირისაგან.

*** თავადის ნ. დ. დიასამიძის საქმის შესახებ განაჩენი 23 ივნისს იქმნება გამოცხადებული და კერძო ბრალმდებელს საქმე ახლა სასამართლო პალატაში გადააქვსო, სწერს გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“.

*** როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, კავკასიის რკინის გზის მომავალის ყარსის რკინის გზისათვის უკვე ვაგონები შეუკვეთნიათ პეტერბურგში. ამ ჟამად მუშაობა მეტად გახურებულია თურმე და ასტრახნიდგან ბაქოში ლიანდაგზედ დასაფენ ძელებით სავსე გემები თითქმის ყოველ დღე მოაქვთ.

*** ტფილისის მაზრის სოფ. სართიჭალაში 10 ივნისს საფოსტო განყოფილება დაარსდა. ამიერიდგან სართიჭალაში შეიძლება ყოველგვარი კორესპონდენციის მიღება და გაგზავნა.

*** ამ წელს ტფილისის 1-ლ ვაჟთა გიმნაზიაში სულ 58 მოსწავლეს დაუმთავრებია სწავლა. ამათში ქართველი—13, სომეხი—12, რუსი და სხვა ეროვნებისანი—32.

მოგვყავს ქართველების გვარები: სიმ. ამირეჯიბი, დავით გედევანიშვილი, ივანე ჯაფარიძე, გიორგი იორაიშვილი, გიორგი ლორთქიფანიძე, დავით უთნელიშვილი, სიმონ წინამძღვრიშვილი, ვლად. გურგენიძე, კონსტ. გურგენიძე, იოსებ ქუმსიაშვილი, იოსებ მაჭავარიანი, პეტრე ფურცელაძე და რომანოზ ჩიკოიძე.

*** ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ამ წელს სულ 31 მოსწავლეს დაუმთავრებია სწავლა. ამათში ქართველი თექვსმეტია: იასონ ავაქიძე, კონსტ. არდიშვილი, სერგი ლოლობერიძე, დავით ჯაფარიძე, პოლიკარპე იოსელიანი, ევგენი კანდელაკი, პარმენ კახიანი, არისტო კიკნაძე, ვლადიმირ ლორთქიფანიძე, ბესარიონ მიქელაძე, იასონ მოსეიშვილი, ივანე შუბლაძე, ბიქტორ ნანეიშვილი, გიორგი ფალავა, სეით იაშვილი და ექსტერნი კიზირია.

*** თუმანოვის ქუჩის ერთი მცხოვრებელი გვწერს: არა ერთხელ ყოფილა აწერილი ადგილობრივ გაზეთებში მეორე და მესამე თუმანოვის ქუჩების უკიდურესი მდგომარეობა, მაგრამ ქალაქის გამგეობა მაინც ყურადღებას არ აქცევს და იმათ გასუფთავება-დაწმენდაზედ სრულიად არა ფიქრობს.

მაისის შუა რიცხვებიდგან 1, 2 და 3 თუმანოვის ქუჩებს ცოცხი არ მიჰკარებია, რის გამოც იქ გავლა მტვერისა და სხვა-და-სხვა უსუფთაობისა გამო ყოვლად შეუძლებელია. მეორე და მესამე თუმანოვის და კრამიტის ქუჩებზედ ქვა დაგებული არ არის და თუ პატარა წვიმა წამოვიდა, განსაკუთრებულ გაზაფხულსა და შემოდგომაზედ, არამც თუ ფეხით, ეტლითაც გაუჭირდება კაცს გავლა, არა ერთხელ და ორჯელ უთხოვნიათ სახლის პატრონებს ქალაქის გამგეობისათვის ქვა დაეგოთ ქუჩებზედ, მაგრამ ყურადღება არც-კი მიაქციეს! შარშან ქუჩებს ზომა დაუწყეს, და გვეგონა ეხლა მაინც გვეშველება რამ, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. თითო სახლის პატრონს 50—300 მანეთამდე გააწერეს და გამოუცხადეს, უსათუოდ ამ თავით შემოიტანეთ ეს ფულიო. სახლის პატრონებმა ვერ შეიძლეს ამდენის ფულის ერთბაშად შეტანა და სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ან ეს ფული ნაწილ-ნაწილად გამოგვართვით, ან ნება მოგვეცც ჩვენ თვითონ, თქვენის ინჟინერის ზედამხედველობით მოვაკირწყვლინოთ ქუჩებიო, მაგრამ ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა ეს სამართლიანი თხოვნა და საქმე დაუსრულებელი დარჩა. ეხლა ვზივართ გულ-ხელ დაკრებილი, ვიხდით თავ-თავისს დროზედ ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადს და, ნაცვლად ამისა, ვყლაპავთ მტვერს და ვსუნთქავთ უსუფთაო ჰაერს. ჩვენის ფულით სოლოლაკის სხვა კარგი ქუჩები კეთდება და ჩვენ-კი ყურადღებას არც-კი გვაქცევენ. დროა, ღმერთმანი, შეგვიბრალონ და ჩვენსკენაც მოიხედონ მოწყალის თვალით.

*** „ტფ. ფურც.“-ს შეუტყვია, რომ გორის მაზრის უფროსს თავ. რ. შ. ერისთავს სხვა თანამდებობაზედ ჰნიშნავენო.

*** ეს ორი წელიწადია, რაც ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელთან სასოფლო-სამეურნეო განყოფილება გაუხსნიათ. ამ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების 19 დესეტინა საკუთარი სახნავი მიწა და 6 დესეტინა სამოსახლო და საბოსტნე ადგილი ჰქონია. ამ ადგილებში უკვე გაუმართავთ მშვენიერი ბოსტანი, საქონლის სადგომები და შესდგომიან რძის ფერმისთვის შენობის აგებას. ამ უკანასკნელში მოთავსებული იქნება სარძევე, საყველე, მარილის შესანახი ოთახი, სარდაფი ყველის შესანახად, ლაბარატორია და ყველის და ერბოს გამკეთებლის ოსტატის ოთახი. ქალაქში საუკეთესო ადგილას მშვენიერი შენობაა აგებული

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

რით ვერ გაძეხ ჩემის ტანჯვით,
რამ მოგიკლა სიბრალული,
ყოველ დღე-ღამ, ყოველ წამ-წუთს
შენთვის კვდება ჩემი გული.
ჯოჯოხეთის წვეთში ვიწვი,
შენგან მრავალ წამებული,
ცრემლით ვწყევლი ცა ქვეყანას,
სასიკვდილოდ განწირული.

დ. მაჩხანელი

### უცხოთა შორის

ინგლისელის უფლებანი.—საყოველთაო თანასწორობა კანონის წინაშე.—სასამართლო და ნაფიცნი მსაჯულნი.—თავისუფლება წასვლა-მოსვლისა.—ინგლისში „პასპორტი“ არ არის.—თავისუფლება ვაჭრობისა და მრეწველობისა, სარწმუნოებისა.—თავისუფლება ჟურნალ-გაზეთებისა და მწერლობისა.—ცენზორის ხსენებაც-კი არ არის ინგლისში.—ქაღალდზედ დაწერილნი უფლებანი მეფისა.—პარლამენტი და მისნი უფლებანი.—

ინგლისი განთქმულია თვისის საუკეთესო სახელმწიფო წეს-წყობილებითა და თითოეულ ადამიანის სრულის თავისუფლებით. მიზეზი ამ საუკეთესო წეს-წყობილებისა არც მეფეთა სიბრძნე გახლავს, არც სახელმწიფო კანომდებლობა. მიზეზი თვით ხასიათია ინგლისელისა. ინგლისელს ისე უყვარს თავისუფლება, რომ ყველაფერს ანაცვალებს მას. ინგლისის ერი მთელს ქვეყანას აკვირვებს თვით-მართველობის უნარითა, წესიერებისა, სამართლიანობისა და კანონიერების სიყვარულით. ინგლისელი საოცარის მოთმინებით აიტანს ყოველ გვარ სასჯელსა და ჯარიმის გარდახდაზედ წარბს არ შეიხრის, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, როცა ამ ჯარიმას ანუ სასჯელს კანონისა და წესიერების დარღვევისათვის დააწერენ და არა უფლებით შემოსილ კაცის თვითნებობითა და ჟინის წყალობით. ჯერ ისევ მეცამეტე საუკუნეში ინგლისის ერსა და მეფეებ შორის ხშირად მომხდარა უთანხმოება და ბოლოს მეფესა და ერს პირობა შეუკრავთ, რომ მთავრობას უფლება არა ჰქონდეს არავითარ ახალ გარდასახადის დაწესებისა ერის წარმომადგენელთა დაუკითხავად. ასეთია მაგალითად 1295 წლის ხელ-შეკრულობა მეფესა და ინგლისის ერთა შორის.

სწორედ ამ თვისებამ თავისუფლების სიყვარულისა, რომელიც ძველადვე გამოიჩინა ინგლისის ერმა, მოუპოვა მას ის სახელმწიფო წეს-წყობილება, რომელიც დღესა აქვს. ჩვენის ფიქრით, საყურადღებოა ის უფლებანი, რომელიც მიჩენილი აქვს ინგლისის თითოეულს მცხოვრებს.

აქვე უნდა მოვახსენოთ მკითხველს, რომ ჩვენი საუბარი იმ უფლებას-კი არ შეეხება, რომელიც აწერილია ინგლისის კანონმდებლობაში. ჩვენი საუბარი იმაზედაა, რა უფლება აქვს მინიჭებული ინგლისელს და რა უფლებით სარგებლობს თვით ცხოვრებაში.

უპირველესი უფლება ინგლისელისა ის გახლავს, რომ ყველა თანასწორია წინაშე კანონისა: მდიდარი, ღარიბი, კეთილშობილი, გლეხი, მინისტრი და უბრალო მუშა. კანონის ძალით, მაგალითად, ციხეში ვერავის ჩასვამენ და ვერც ვერაფრით შეაწუხებენ კაცს, თუ მისი დანაშაული წინდაწინვე არ არის დამტკიცებული სასამართლოს მიერ. რა თქმა უნდა, აქაც შესაძლებელია უდანაშაულო კაცი დაისაჯოს, მაგრამ მხოლოდ შეცდომით. ეს-კი უტყუარია, რომ რაც უნდა მდიდარი კაცი იყოს დამნაშავე, თუ-კი დანაშაული რამ მიუძღვის საზოგადოებისა და კანონის წინაშე, სასჯელს ვერ წაუვა. დამნაშავეს ასამართლებენ ნაფიცნი მსაჯულნი, რომელნიც თავის ყურადღებას აქცევენ თვით დანაშაულს და არა დამნაშავის სიმდიდრე-სიღარიბეს და სხვა რამ ღირსებას. ნაფიცნი მსაჯულნი არაოდეს არ გაამართლებენ ისეთს დამნაშავეს, რომელიც ამტკიცებს, ეს დანაშაული უფროსის ბრძანებით ჩავიდინეო, ან კიდევ სამსახურის ერთგულობით მომივიდაო. ინგლისში ყოველი სრულ-წლოვანი კაცი პასუხს აგებს ყოველსავე დანაშაულისთვის და თავს ვერ იმართლებს, რა ვქნა, უფროსმა ასე მიბრძანაო. თვით მეფესაც რომ ებრძანებინოს უკანონო და უსამართლო საქმის ჩადენა, მაშინაც-კი პასუხს აგებს დამნაშავე და მეფის ბრძანებით თავს ვერ გაიმართლებს.

ვიმეორებთ: არც ერთს სახელმწიფოში არა აქვს ადამიანს იმდენი თავისუფლება, როგორც ინგლისში. თუ კაცს ბრალი რამ ედება და ციხეში ჩასვეს, ის ნუგეში მაინც აქვს, რომ იმისს საქმეს ძლიერ მალე და ყოვლად სამართლიანად გაარჩევენ და თუ მისი უდანაშაულობა დამტკიცდა, ერთი ათად გადაახდევინებს იმას, ვინც ცილი დასწამა და ვისის წყალობითაც დაპატიმრებულ იქმნა.

ყველა ინგლისელს უფლება აქვს სრულიად თავისუფლად იცხოვროს, სადაც-კი მოისურვებს, იაროს, სადაც-კი მოიწადინებს. მთელი ინგლისი რომ შემოიაროს, არავინა ჰკითხავს, ვინა ხარ, სადაური ხარ, რად მოსულხარ აქა, სად მიდიხარ და სხვ. აგრეთვე თუ საზღვარ-გარედ მოიწადინა წასვლა, არავის დაეკითხება. ინგლისში არც-კი იციან პასპორტი რა არის. მთავრობა ვერავის ვერ გადაასახლებს არა თუ ინგლისიდგან, არამედ ერთის სოფლიდგან მეორე სოფელში. თითოეულს კაცს სრული უფლება აქვს, რაც უნდა აკეთოს, ვაჭრობისათვის და მრეწველობისთვის არავითარი ნებართვა არ არის საჭირო. დღესვე რომ ინგლისში წაბრძანდეთ და მოიწადინოთ ან რკინის გზის გამართვა, ან გემის გაკეთება, ან ქარხნისა, შეგიძლიანთ სრულიად არა-

დამატებითის კლასებისთვის, რომელსაც 110 ოთხ-კუთხი საჟენი ადგილი უჭირავს და რომელშიაც მოთავსებულია საკლასო ოთახები, დასაძინებელი პანსიონერებისთვის, სახელოსნო და მოსამსახურეთათვის ოთახები. ტაბაცხურის ტბის ნაპირას სახელმწიფო აგარაკ ხუმრისიდგან დაეთმო სასწავლებელს 216 დესეტინა საძოვარი და სათიბი მიწა. ფულად ყოველ წელიწადს სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას 5,300 მანეთი შემოუვა. გარდა ამისა, წელიწადში ფერმა, ბოსტანი და სხვა 1,500 მან. მისცემს. („Кав. сельс. хоз.“)

*** დ სამტრედია. (ქუთაისის მაზ.) 5 ივნისს აქ მეორედ დაჰკრა მეხმა და იმსხვერპლა სამტრედიაში მცხოვრები გლეხი ერასტო რევიშვილი; განსვენებული მსახურებდა ეწერის სასოფლო სასამართლოს მსაჯულად. ამ დღეს ეს რევიშვილი ყოფილა ყანაში სამუშაოდ, როდესაც დაუწყია ქუხილი და წვიმა, მომზადებულა სახლში წამოსასვლელად, მაგრამ ველარ გამოუსწვრია.

*** საქართველოს სამხედრო გზა. მაისის პირველ რიცხვებში, ღამე, ერთს რუსეთელ მდიდარს ღამე ავაზაკებმა ბალთა-ფითხუზის ქალაში ეტლზედ შეაჭრეს „ჩემოდნები“ ძვირფასის ნივთებით სავსე. დანაკარგის პატრონმა ოლქის უფროსს მიჰმართა. ოლქის უფროსმა ფიცხელი ბრძანება გასცა ავაზაკების აღმოსაჩენად. მართლაც მალე იპოვნეს ავაზაკები და დანაკარგიც, ქალაში დამალული. ავაზაკები ჯაირახელი ქისტები აღმოჩნდნენ, იმ ქისტების ნათესავები, რომელნიც საქართველოს სამხედრო გზას დარაჯობდნენ ბალთა-ფითხუზის ქალაში. ავაზაკებს, როგორც გავიგეთ, სამხედრო სამართალში უპირებენ მიცემას.

*** 10 ივნისს, საღამოს 11 საათზედ, გაბაევის ტრაქტირში ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს ტფილისის მაზრის სოფ. კასალას მცხოვრებელი ისა ჰაჯი ბაირამი. აი საქმე როგორა ყოფილა: ისა ჰაჯი ბაირამი ტრაქტირიდგან გამოსულა და სამი ნაბიჯი გაუვლია თუ არა, ვიღაცას თოფი უსროლია. თოფის ხმაზედ დუქნიდგან გამოვარდნილან კასალისავე მცხოვრებნი და დაუნახავთ დაჭრილი ბაირამი, რომელიც იქვე წაქცეულა. გამოკითხვა რომ დაუწყიათ, ბაირამს უთქვამს „ლეკებმა მესროლესო“ და დაუსახელებია: მაჰმედ, ჰაჯი აბდული და სპარსეთის ქვეშევრდომი მაჰმად-სადიხი. 15 წუთის შემდეგ დაჭრილი გარდაცვლილა. ტყვია გულში ჰქონია მოხვედრილი. მკვლელები, მაჰმედ სადიხის გარდა ყველანი შეუპყრიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** 10 ივნისს, ღამე, პანასეევის ქუჩაზე, ბერიევის სახლში შეპარულა რაჭის მაზრის სოფ. სადმელის მცხოვრებელი ეფრემ მურუსიძე და სხვა-და-სხვა ავეჯის მოპარვა დაუპირებია, მაგრამ დაუნახავთ და შეუპყრიათ, 7 წლის წინად ესევე მურუსიძე დაჭერილი ყოფილა ქურდობისათვის, მაგრამ გაქცეულა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ბაღდადი.** (ქუთაისის მაზრა), 8 ივნისი. ბაღდადში აგერ ოცი წელია, რაც არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და დღემდე ჯერ აქაურებს ვერ გამოუფხიზლებიათ და ვერ გაუგიათ, რომ სასწავლებელი ერთად-ერთი კეთილი დაწესებულებაა და განათლების ტაძარია ხალხისათვის; აქ ჯერ კიდევ მტრულად ეპყრობიან სასწავლებელს და დარწმუნებულნიც არიან, რომ, სარგებლობის მაგიერ, სასწავლებელს დიდი ზარალი მოაქვს. დიდი სირცხვილია სწორედ, რომ ასეთს მდიდარს და ბუნებით შემკულს დაბაში ერთ-კლასიანი სასწავლებელი არსებობდეს და ისიც ასეთს უნუგეშო მდგომარეობაში იყოს, როგორც დღეს არის, შენობის სიძველისა გამო; მგონი 1877 წელს აქეთ, რაც დაარსებულა, ჯერ არ შეკეთებულა, რის გამოც მეტად მისუსტებულია. ამას წინად აქ ბრძანდებოდა ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი, რომელმაც საჭიროდ დაინახა, რომ სასწავლებლის შენობას განახლება სჭირია. ბოქაული ბ-ნი ფაღავა მონდომებული არის არა თუ სასწავლებლის შენობა შეაკეთებინოს, არამედ კიდეც გადააორკლასიანოს.

ამ საზოგადოებაში სცხოვრობს 800 კომლამდე მცხოვრებელი, თავად-აზნაურს გარდა. თითოეულმა რომ თითო მანეთი გაიღოს ყოველ წელიწადში და ამას თან დაუმატოთ თავად აზნაურების ბავშვებისაგან შემოსული სწავლის ფასი, მაშინ შეადგენს 1,000 მანეთს, რომლითაც თამამად შეიძლება შენახვა ორ-კლასიანის სასწავლებლისა სამეურნეო განყოფილებით. აქვე სასწავლებლის პირდაპირ რამდენიმე ქცევა ადგილია, რომელიც ეკუთვნით აზნაურ ფურცელაძეებს; დარწმუნებულნი უნდა ვიქმნეთ, რომ ფურცელაძეები ამ ადგილიდგან სასწავლებელს უსასყიდლოდ დაუთმობენ ორ-სამ ქცევა ადგილს ბაღისათვის. ამასთანავე საჭიროა რომ სასწავლებელს ჰყავდეს კარგი მზრუნველი, რომ შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოს, როგორც თავისის მხრივ, ისე თავის მთავრობასა და სხვა კერძო კაცებთან შუამავლობით.

დასასრულ, ვისურვებთ, რომ ბოქაულის ბ-ნი ფაღავას კეთილი განზრახვა საქმითაც დაგვირგვინებულიყოს, რომელსაც აქაური ინტელიგენციაც, იმედია, ხელს შეუწყობს.

ვლადიმ ბზვანელი

**სად. გომი** (გორის მაზრა), 4 ივნისი. ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზედ აქ დიდი ქარიშხლიანი წვიმა დაიწყო, რასაც მოჰყვა თხილის სიმსხო სეტყვა და გასტანა სრული ორი წუთი. როგორც მითხრეს, ქერი და სხვა ჭირნახული, პურის გარდა ძალიან დააზარალა თურმე.

აქ ახლო-მახლო მიდამოებში სცხოვრობს მეტი ნაწილი ოსებისა, რომელთაც ბევრი ნაკლულევანება აქვთ სწავლა-განთლების მხრით და ჩვეულებით. მაგალითად ბევრს ჩვეულებად ჰქონიათ „მახორკა“ თუთუნის ღეჭვა; იქამდის ჰღეჭვენ, ვიდრე სულ არ გამოწუწნიან. ამის წყალობით ხველა აქვთ და ნახველი ამოსდით რკინის ფერისა. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ჩვეულება მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

აქ დაარსდა გორის მაზრის სათავად-აზნაურო ამხანაგობის სამეურნეო დეპო ი. სიხარულიძის სავაჭრო მაღაზიაში, რომელსაც პირველი ალაგი უჭირავს სადგურის ახლო-მახლო. ეხლა მაღაზიებს უმატებენ და აფართოებენ ჭირნახულის და სხვა საქონლის საწყობად. ჯერ დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან ახალ დაწყებულ სავაჭრო სახლს, რომელმაც დაიწყო ვაჭრობა ამხანაგობის სახელობით 1 მაისიდგან, როგორც მონაწილენი, აგრეთვე აქაური მცხოვრებიც. დღესვე ამ დეპომ ფასი გასასყიდის საქონლისა შედარებით უწინდელზედ დასწია, ჭირნახულსაც რიგიან ფასადა ჰყიდულობს და ჰყიდის. ამხანაგობის დეპო უთმობს სიმინდს და პურს ფუთს 1 და $^1/_2$ კაპიკის მოგებით. ამხანაგობის დეპოს ასეთმა მოქმედებამ შეაწუხა ზოგიერთი სოფლის ჩარჩები და მოვაჭრენი, რომლებიც თავის ნებაზედ ატრიალებდენ ჭირნახულის ფასს და მცხოვრებთა ბედ-იღბალს, აქამდის მოცილე სიხარულიძის გარდა არავინ ჰყავდათ, მაგრამ ერთი ათთან რას გახდებოდა? ეხლა-კი თუ ბევრად არა, ცოტად მაინც შეჰკვეცს, რასაკვირველია, ფრთებს ამხანაგობის სავაჭრო დეპო იმათს მოქმედებას.

დროებითი მეთვალყურე

### წერილი ქუთაისიდგან

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში ამ ივნისის უკანასკნელ რიცხვებში კურსი დაამთავრა 25 ყმაწვილმა. უკანასკნელი ეგზამენები იქნება შემდეგის საგნებისა 16 ივნისს: მევენახეობისა, ე. ი. ვენახების ნიადაგის მომზადება, ვაზების დარგვა, სხვა-და-სხვანაირი დამყნა, გასხვლა, ამერიკული ვაზების მოვლა-მოშენება, მეღვინეობა და სხვა.

18 ივნისს—ბაღოსნობა, მცენარეების ანატომია და ფიზიოლოგია.

20 ივნისს—საქონლის მოვლა მოშენება.

23 ივნისს—მეურნეობა—მიწის დამუშავება, სამეურნეო მცენარეობის მოვლა-მოშენება, კანონები, რომლების ცოდნა მეურნესათვის მიუცილებელი საჭიროა არის.

25 ივნისს—მიწის ზომვა.

ქუთაისის განყოფილება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა სთხოვს ყველას, ვისაც ეინტერესება ამ ნორჩ სასწავლებლის წინ სვლა ამ მოკლე ხანში დაესწრნენ ეგზამენებს.

ეჭვი არ არის, რომ ყოველ რიგიან და განვითარებულ მეურნისათვის ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი—ეს ერთად ერთი წყარო ჩვენის სოფლის მეურნეობის წინსვლისა—დაიმსახურებს უპირველესს ყურადღებას. ყველას კარგად გვესმის, თუ რა უკიდურესს მდგომარეობაშია ჩვენი მეურნეობა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი ქონებრივი მდგომარეობა, სწავლა განათლება და, როგორც იტყვიან, კულტურა კაცობრიობისა. ყველასგან გვესმის: „მიწა ნაყოფს არ გვაძლევს, ვენახები გვეგვიფუჭდა, ხეხილები წაგვიხდა, გვალვამ შეგვაწუხა, ჭირნახულს ფასი არა აქვს“ და მრავალი სხვა. ამ უბედურ მდგომარეობას შევხვდით ყველანი და ამასთან გულხელ დაკრეფილნი ვართ, ჩვენი მეურნეობა კი სულ უკან და უკან მიმდინარეობს. მრავალგვარი მოთხოვნილება ბევრს ჩვენთაგანს იძულებულს ხდის აგირაოს, ან ჰყიდოს ოფლით და მწუხარებით შეძენილი მამულები ჩვენის მამა-პაპებისა და ბოლოს ვრჩებით ცალიერნი ულუკმა პუროდ. ამ მდგომარეობის მიუცილებელი საჭიროა არის ავიჩქაროთ სამეურნეო სწავლა-განათლებითა და დავაყენოთ ჩვენი მამულები რიგიანს ნიადაგზედ. თუ რომ უცხოელი სწავლული მეურნე ორ-სამ ქცევა მიწით არჩენს თავისს ცოლ-შვილს, იძენს სწავლა განათლებას, მამულებს, აკეთებს ქარხნებს, ნუ თუ ჩვენ, შვილნი დიდებულის ბუნებისა, რომელზედაც მიქცეულია ყველა განათლებულ უცხოელის ყურადღება, არ შეგვიძლია შედარებით მიწებით მდიდრებმა წინ წავწიოთ ჩვენი ქონებრივი მდგომარეობა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ სიყვარული მსაზრდოებელ დედა-მიწისა და მუშაობისა, ხოლო რიგიანად დაფიქრებულ მუშაობისა, რომელსაც გვძენს ჩვენ სწავლა, სწავლა და სწავლა...

აშკარა გარეშეა, რომ ყველანი ჩვენი მეურნეები სიამოვნებით მიეგებებიან იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც გვაწოდებს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი, პირველად უპირატესობას მისცემენ ჩვენ მოურავებთან შედარებით, რომლებიც, უნდა გაგიტყდეთ, თითონ მდიდრდებიან და არ გვამდიდრებენ, ისარგებლებენ ამ ბედნიერის შემთხვევით.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ

---

ვის დაეკითხოთ და თქვენს საქმეს შეუდგეთ. ხმას ვერავინ გაგცემთ. შეგიძლიანთ გააკეთოთ ჯავშნიანი სამხედრო გემი, გააკეთოთ თოფის წამალი, ზარბაზნები—ხმას არავინ გაგცემთ. ერთის სიტყვით, ინგლისში ყველას სრული უფლება აქვს, როგორც უნდა იცხოვროს, რაც უნდა აკეთოს.

სრული უფლება აქვს აგრეთვე ინგლისელს სარწმუნოების მხრივ. მაჰმადიანობა რომ მიიღოს კაცმა, ხმას არავინ გასცემს. თუ გსურთ, შეგიძლიანთ თქვენი საკუთარი და სულ ახალი სარწმუნოება მოიგონოთ და გაავრცელოთ. ხელს არავინ შეგიშლით. თუ გნებავთ, თქვენი საკუთარი მოძღვრება დაჰბეჭდეთ და ჰყიდეთ წიგნი. არც ამას დაგიშლით ვინმე. მხოლოდ სხვის სარწმუნოება არ შეჰლახოთ, სხვას არ დასცინოთ, არ დაამციროთ იმისთვის, რომ იგი სხვა სარწმუნოებას მისდევს და თქვენსას უარს ჰყოფს.

არც ერთს ქვეყანაში არ არის ისეთი თავისუფლება წიგნისა და ჟურნალ გაზეთების ბეჭდვისა, როგორც ინგლისში. წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის გამოცემისათვის არავითარი ნება-რთვა არ არის საჭირო. რა წიგნიც გნებავთ გამოეცით, რომელი გაზეთიც გნებავთ დააარსეთ, რაც გნებავთ, დასწერეთ, დაჰბეჭდეთ, გაჰყიდეთ. ასე გასინჯეთ, აქ ამ გვარი სიტყვაც-კი არ არსებობს—„ცენზურამ ნება არ მომცაო“. თვით ცენზორის ხსენებაც არ არის ინგლისში. ერთად ერთი დანაშაულობა მწერალისა ის არის, თუ ცილის წამება დაჰბეჭდა, ან ღმერთი და სარწმუნოება დაჰგმო, ან უზნეო და ხალხის გასარყვნელი წიგნი დასწერა. მაგრამ ასეთის დანაშაულისთვის იგი მხოლოდ სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს. ჟურნალ-გაზეთებში და წიგნებში თავისუფლად შეიძლება დაიბეჭდოს ყოველი მსჯელობა შესახებ სახელმწიფო წეს-წყობილების ამა თუ იმ ნაკლულევანებისა, სასამართლოს გარდაწყვეტილებისა, მინისტრების საქციელისა, ერთის სიტყვით, ჟურნალ-გაზეთებს სრული უფლება აქვთ, რაც უნდა სწერონ სახელმწიფო, საპოლიტიკო და საზოგადო ცხოვრების შესახებ, მხოლოდ ერთის პირობით, არა დასწამონ კაცს ცილი, არა შეურაცხჰყონ, არ შეჰლახონ სახელი პატიოსანის კაცისა.

ინგლისელ კაცს ბატონი არა ჰყავს. ყველა თავის თავის ბატონი და ყმა არის. სულ უკანასკნელი ყმა რომ მივიდეს ინგლისში უცხო ქვეყნიდგან და იქ დასახლდეს, ისეთივე თავისუფლება და უფლებანი მიენიჭება, როგორიც სხვა ინგლისელსა აქვს.

ინგლისელის სახლი ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც ციხე-სიმაგრე. თვით მეფეს არ შეუძლიან მისს სახლში ფეხი შესდგას, თუ მასპინძლის სურვილი არ იქნება. სახლის გაჩხრეკის უფლება არავის არა აქვს, თუ თვით სასამართლომ არ დაადგინა—სახლი გაუჩხრიკეთო. კერძო კაცის წერილს ვერავინ ვერ გახსნის. მხოლოდ მინისტრს შეუძლიან ბრძანოს ამა და ამ კაცის წერილი გახსენითო და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი აქვთ—წერილის დამწერსა ან მიმღებს ძლიერ დიდი რამ ავაზაკობა ჩაუდენიაო.

ყველა წოდებისა, ხარისხისა და ხელობის კაცთ სრული უფლება აქვთ, სადაც უნდა შეიკრიბნენ, რაზედაც უნდათ ილაპარაკონ, რაც ენებებათ წაიკითხონ, გასაჯონ, გაასამართლონ, გაჰკიცხონ კიდეც თვით მთავრობის განკარგულებანი, ახლად შემოღებული რამ წესი. ერთი პირობა-კი არის საჭირო კრების დროს: უწესოება რამ არ მოახდინონ და სხვა ხალხი არ შეაწუხონ.

ამ გვარად ინგლისელის უფლება ასე აინუსხება: 1) სრული და საყოველთაო თანასწორობა წინაშე კანონისა; 2) თავისუფლება მისვლა-მოსვლისა თვით ინგლისში და საზღვარ-გარედ; 3) თავისუფლება შრომისა, ვაჭრობისა და მრეწველობისა; 4) თავისუფლება სარწმუნოების არჩევისა; 5) თავისუფლება წერისა, ბეჭდვისა და ლაპარაკისა; 6) ხელ-შეუხებლობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა ადამიანის პიროვნობისა; 7) საიდუმლოება წერილებისა და საზოგადოდ მიწერ-მოწერისა; 8) უფლება ყოველგვარ თხოვნის მირთმევისა მეფისა და პარლამენტისადმი; 9) უფლება ყოველგვარ საზოგადოების დაარსებისა, ანუ როგორც ევროპაში ამბობენ, ასსოციაციებისა; 10) თვით-მართველობა ქალაქებისა და სოფლის საზოგადოებათა.

ინგლისის სახელმწიფო საქმეებს განაგებს მეფე და პარლამენტი. მეფის უფლებანი შეზღუდულია პარლამენტის სურვილით. მეფეს დიდძალი უფლება აქვს მინიჭებული: 1) მეფეს ეკუთვნის მთელის სახელმწიფოს ქონება, სარჩო-საბადებელი და ყოველივე სახელმწიფო შემოსავალი; 2) მხოლოდ მეფეს შეუძლიან ომის გამოცხადება და ზავის ჩამოგდება; 3) მხოლოდ მეფეს შეუძლიან სხვა სახელმწიფოსთან პირობისა ან კავშირის შეკვრა, ელჩისა და დესპანის მიღება, და გაგზავნა; 4) მარტო მეფეს შეუძლიან ჯარის მოკრეფა, შეიარაღება და ციხე სიმაგრის აშენება; 5) მეფეს შეუძლიან დაითხოვოს მთელი ჯარი, გადააყენოს სამსახურიდგან აფიცრები, ჯარის უფროსები და თვით მთავარ-სარდალი; შეუძლიან გაჰყიდოს სამხედრო გემები, ზარბაზნები, ტყვია-წამალი, თოფები; 6) მეფე უფროსი მოსამართლე და მსაჯულია მთელის ქვეყნისა, მეფეს შეუძლიან გამოსცეს ახალი კანონი და გააუქმოს ძველი; შეუძლიან უკანასკნელი სამრევლო სკოლა გადააქციოს უნივერსიტეტად; დაითხოვოს სამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო სასწავლებლის მზრუნველს სტეფანე ქრისტეფორეს ძეს ხოჯაევს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“-ს გუშინდელს №-ში ბ-ნის ალ. ხახანაშვილის ფელეტონია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ საქართველოს მეფობის დროს სომხებს რა ადგილი ეჭირათ ჩვენს ქვეყანაში. აქ მოგვყავს ზოგიერთი ადგილი ამ წერილიდამ, რომელიც ზემოდ აღნიშნულს საგანს ასე თუ ისე ახასიათებს. ბ-ნი ხახანაშვილი თავისს წერილს იმითი იწყებს, თუ რა ცნობებია დარჩენილი ძველად სომხების შესახებ ჩვენს „ქართლის ცხოვრებაში“. „ქართლის ცხოვრების“ თქმულებით, ქართველები და სომხები ერთის წინაპრისაგან მომდინარეობენ—თარგამოსისაგან, რომლის ორი ვაჟი-შვილი: ჰაოსი და ქართლოსი ქართველთა და სომეხთა მამათმთავრები იყვნენო, მაგრამ ამ ჟამად ლინგვისტიკა და ანტროპოლოგია უარჰყოფენ სომხებისა და ქართველების ასეთს ნათესაობას. ხახანაშვილი სწერს:

როგორც შედარებითი ენათა ცოდნა ამტკიცებს, სომხები ინდო-ევროპიელ ტომთა ჯგუფს ეკუთვნიან, ხოლო ქართველნი, რომელთა ენასაც არც ერთ უკვე დადგენილ (არიულს, სემიტიურსა და თურანულ) ენათა ჯგუფთან ნათესაობა არა აქვს, სრულიად ცალკე გაჰყენა მეცნიერებამ და დამოუკიდებელ იბერიულ ჯგუფად აღიარა *). ანტროპომეტრიულმა გამოკვლევამაც იგივე აზრი დაასკვნა, რომ თუ სომეხთა და ქართველთა თავის ქალასა და ტანს მივიღებთ მხედველობაში, კავკასიურ თეთრ ტომის ორს სხვა და-სხვა ტიპს შეადგენენ იგინიო...

ქართლის ცხოვრების აღწერაში სომხები პირველად მხოლოდ ქრისტიანობის შემოღების დროს იხსენიებიან, რაც დამოკიდებულია იმ გარემოებაზედ, რომ სომხებმაცა და ქართველებმაც ქრისტიანობა ბიზანტიისაგან მიიღეს. მართლ-მადიდებლობისაგან განდგომა სომხებისა, რომლებმაც იესო ქრისტეს მხოლოდ ერთი ღვთაებრივი ბუნება მიაწერეს (მართლ-მადიდებელთა სწავლა ორს ბუნებას აღიარებს: ღვთაებრივსა და კაცობრივს), ხალკიდონის კრებაზედ გარდაწყდა 451 წელს. მაგრამ ამ ნორჩის სამწყსოს განდგომამ საბერძნეთის ეკლესიისაგან საქართველოსა და სომხეთს შორის დამოკიდებულება სრულიადაც არ შესცვალა და საქართველოს სამეფოს ერთს მხარეში, სომხეთში, სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოება დაუბრკოლებლივ დამყარდა. მართალია საქართველოს მეფეთა ბაგრატ IV-ისა (958—994 წ.) და დავით აღმაშენებლის (1089—1125) დროს სცდილობდნენ ქართველთა და სომეხთა ეკლესიები შეეერთებინათ და ამ ცდამ ფუჭად ჩაიარა, მაგრამ ამის გამო ქართველთა და სომეხთა შორის მეგობრული დამოკიდებულება და კავშირი მაინც არ გაწყვეტილა. დავით აღმაშენებლის დროს სომხებს, პირიქით, საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულს მფარველობას უწევდა.

ხსენებულმა მეფემ ჯვაროსანთა მცირე აზიაში ლაშქრობით ისარგებლა, საქართველო ოსმალო-სელჯუკიანთა უფლობისაგან განათავისუფლა, სომხეთის სატახტო ქ. ანი დაიპყრო და მოოხრებულ მხარის ნივთიერად გამოსაკეთებლად სომხები საქართველოს სამეფოს მცირედ დასახლებულსა და საგანგებოდ მათთვის აშენებულს ქალაქებში დაასახლა. საქართველოს მემატიანე და აგრეთვე თვით სომეხთა ისტორიკოსნი (მაგალითად მოსე ედესელი) ამტკიცებენ, რომ მეფე დავით აღმაშენებელი სომხებს სიყვარულითა და სარწმუნოების საქმეში შეღავათით ეპყრობოდა, თითონ დაიარებოდა სომეხთა ეკლესიაში და სომეხთა მღვდელ-მთავართაგან ლოცვა კურთხევას იღებდაო.

არამც თუ სარწმუნოებრივი თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული სომხებს და არაფრით ავიწროებდა საქართველოს მთავრობა, პირიქით, მათ ყოველგვარი პოლიტიკური და მოქალაქებრივი უფლება მიენიჭათ. მთავრობა მუდამ თანაგრძნობით ეპყრობოდა სომეხთა გაჭირვებულს მდგომარეობას, როგორც სოფლად მცხოვრებთ, ისე მოქალაქეთ, რომელთაც, სხვა უცხო ერის წარმომადგენლებთან შედარებით, განსაკუთრებული უპირატესობანი ჰქონდათ მინიჭებული. მაგალითად, დამნაშავე სომხებს მხითარ გოშის სომხურ კანონ-დებულების მიხედვით ასამართლებდნენ. ეს კანონ-დებულება ქართულადაც იქმნა გადათარგმნილი და შემდეგში მეფე ვახტანგ VI ის დებულებაში იქმნა შეტანილი. პასუხის საგებელი და საპატიო თანამდებობაც, როგორც ადმინისტრატიული, ისე სამხედრო, ქართველებთან ერთად სომხებსაც ეძლეოდათ და სხ...

აქ ბ-ნი ხახანაშვილი ასახელებს საქართველოს დიდებულ მეფის თამარის დროის სახელ განთქმულს სამხედრო მოღვაწეს სარგის მხარგძელს, ერეკლე მეორის დროის მოღვაწეს ოსეფ ყორღანოვსა და იმისს ერთგულს მხლებელს, სომეხს, რომელიც მუდამ თან ახლდა ხოლმე და რომელიც ერეკლე მეფესთან ერთად თავ გამოდებით თურმე იბრძოდა კრწანისის ველზედ.

საქართველოს სამეფოში სომეხთა მიერ დროებით მოპოვებული მნიშვნელობა და აგრეთვე თანამდებობა ხშირად მემკვიდრეობით გარდაეცემოდათ ხოლმე იმათ ჩამომავალთ და აზნაურობისა და თავადობის ღირსებაც ეძლეოდათ. ხოლო განსაკუთრებულის ნდობის ნიშნად მთავრობა სომხებს სამხედრო სამსახურშიაც იწვევდა და ტახტისა და სახელმწიფოს მფარველობასაც აკისრებდა....

მაგრამ სომხებს ამის გარდა განსაკუთრებული სამოღვაწო ასპარეზიც ჰქონდათ: საქართველოში იგინი ეგრედ წოდებულს მესამე წოდებას (tiers-ètat) შეადგენდნენ, რომელსაც მხოლოდ ზოგიერთი ქართველი ეკუთვნოდა. საქართველოში მცხოვრები სომხობა დღესაც ორნაწილად იყოფა: სოფლისა და ქალაქის მცხოვრებად. სოფლად მცხოვრები სომხობა, როგორც ქართველი გლეხობაც, მიწის მუშაობას, ხვნა-თესვასა და ღვინის მოყვანას მისდევს, ხოლო ქალაქის მცხოვრებნი ცალკე მოვაჭრეთა ჯგუფს შეადგენენ, რომელთა ადგილიც დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნიაში) იმერლებსა, გურულებსა და გაქართველებულს ურიებს უჭირავთ.

ამის მიზეზად ბ-ნი ხახანაშვილი იმ გარემოებას ასახელებს, რომ საქართველოს მაღალი წოდება სამხედრო სამსახურსა და სამეფოს შინაურად მმართვა გამგეობას ანდომებდა მთელს დროს, ხოლო გლეხობა, სოფლის მცხოვრებნი, ხან იარაღით ხელში მტერს ებრძოდნენ, უიმისოდ კი ხვნა-თესვას მიზდევდნენო. და აი, ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ვაჭრობა სომხების განსაკუთრებულ ხელობად დარჩა. თავისს წერილს ამითი აბოლოვებს იგი:

ერთის სიტყვით, საქართველოს მატიანეს თავიდამ ბოლომდე რომ თვალი გადაავლოთ, დარწმუნდებით, რომ საქართველოს მეფენი ქართველებსა და სომხებს შორის არავითარს განსხვავებას არა ჰხედავდნენ, ამათ (სომხებს) სრულს თავისუფლებასა და ყველა პოლიტიკურსა და მოქალაქობრივს უფლებას ანიჭებდნენ.

საქართველოში ყველა ქრისტიანე ერი განურჩევლად თავისუფალი იყო, და შესანიშნავია, რომ ქართველი ერი, რომელიც იმ თავიდამვე მართლმადიდებელია, მხოლოდ მაჰმადიანთა რჯულს თუ სთვლიდა წინააღმდეგად, თორემ სხვა ყველა ქრისტეს სახარების მაღიარებელს ერს, თუნდაც სხვა-და სხვა სარწმუნოებრივის სწავლის მქონეს, ძმურად ეპყრობოდა. სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოებასთან ერთად მე XVI საუკუნედგან საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილში კათოლიკეთა სჯულიც გავრცელდა, და რომის პაპი პიი VI მადლობას უთვლიდა მეფე გიორგი II იმ მფარველობისათვის, რომელსაც იგი კათოლიკეთა მისსიონერებს უწევდა. თუმცა ქართველნი და სომეხნი ორს სხვა-და-სხვა ეკლესიას ეკუთვნოდნენ, მაინც ეს გარემოება არაფრით უშლიდა, რომ ერთმანეთში ნათესაობა ჰქონოდათ: ქალი ეთხოვნათ, ან გაეთხოვებინათ, ნათელ-მირონობა გაეწიათ და სხვ. ამ ბოლოს დრომდე საქართველოში სომეხთა ეკლესიებში ქადაგებას ქართულს ენაზედ უკითხავდნენ ხალხს, საერთო წმიდანებს თაყვანს სცემდნენ (წმ. გიორგის, დავითს), სომხები ქართულს ენასა და ქართულს ზნე-ჩვეულებას ითვისებდნენ. თუ რომ წარსულს დროს გარდავხედავთ, ვერც ერთს დიდის მტრობასა და უთანხმოების მაგალითს ვერა ვპოვებთ ქართველთა და სომეხთა შორის. შეიძლება ბევრმა ეს ამბავი მოულოდნელადა და უსაბუთოდა სცნოს, მაგრამ ნუ დაივიწყებენ რომ dies diem docet.

*) რამდენადაც ვიცით, ეს საგანი მეცნიერებისაგან ჯერ კიდევ საბოლოოდ გარდაწყვეტილი არ არის.

## უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** გაზ. Journ. des Deb“, კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტ რალისთან და, როგორც ამ ლაპარაკიდგანა სჩანს, საბერძნეთის მთავრობა ეხლაც დარწმუნებულია, რომ იმისს ჯარი კარგად გაწყობილი და შეიარაღებულია. რალის სიტყვით, საბერძნეთის ჯარს ნაკლი არა აქვს, მხოლოდ, თუ დამარცხდნენ, ამის მიზეზი წინამძღოლობის უთაურობა და უნიჭობააო. ამის მაგიერ, რომ ესარგებლათ პირველ გამარჯვებებით და წინ წასულიყვნენ სარდლები, უკან-უკან იწეოდნენ და ამ რიგად საუკეთესო ადგილები ჩაუგდეს ოსმალებს ხელში. სხვათა შორის ჩვენის ჯარის სიყოჩაღეს პირველი გამარჯვებანიც ამტკიცებსო. რაც შეეხება ჯარის-კაცთა რაოდენობას, მართალია, ოსმალეთს გაცილებით მეტი ჯარი ჰყავდა, მაგრამ არც ჩვენი იყო ნაკლები: თესალია'სა და

ქალაქო და საადმინისტრაციო მოხელენი; შეუძლიან აპატიოს ყოველივე დანაშაული დამნაშავეს; 7) მეფე ბატონი და ბრძანებელია სარწმუნოებისა და საეკკლესიო საქმეთა.

ამ გვარად მეფეს შეუძლიან სრულიად დააქვეითოს ინგლისი, შეებრძოლოს მთელს ქვეყანას და დამარცხდეს, დაითხოვოს ჯარი და უმწეოდა და უპატრონოდ დასტოვოს მთელი სამეფო.

მაგრამ ყოველივე ეს უფლება მხოლოდ ქაღალდზე გახლავთ დაწერილი. ეს მხოლოდ კანონში სწერია ასე. ნამდვილად-კი სულ სხვაა. ნამდვილად-კი ინგლისის დედოფალს (ინგლისის სამეფო ტახტი ამ ჟამად დედოფალ ვიქტორიას ეკუთვნის) მხოლოდ სამი უფლება აქვს მინიჭებული: მოსთხოვოს პარლამენტს—განიხილოს მისი რჩევა, ურჩიოს რამ პარლამენტს ან გააფრთხილოს. ეს არის და ეს. მთელის ქვეყნის მართვა-გამგეობა სულ პარლამენტის ხელშია. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას აქეთ, რაც ინგლისის ერმა თითქმის ყველა უფლება ჩამოართვა მეფეს და თითონ დაისაკუთრა. თუმცა მეფე ყოველთვის ითვლებოდა და კიდეც ითვლება უფროს მოსამართლედა და მსაჯულად. მაგრამ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეს მარტო ნაფიცნი მსაჯულნი არჩევენ. მეფეს ყოველთვის ჰქონდა და აქვს უფლება ახალ კანონის გამოცემისა და ძველის გაუქმებისა. მაგრამ დიდი ხანია, რაც ეს უფლება პარლამენტმა ჩამოართვა მეფეს. ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილი უფლება მეფისა მხოლოდ ქაღალდზედ გახლავთ დაწერილი და ნამდვილად-კი მარტო პარლამენტს ეკუთვნის.

ქაღალდზე ასე სწერია, რომ მეფეს უფლება აქვს პარლამენტის გარდაწყვეტილების დამტკიცებისა და უარყოფისაო, მაგრამ ეს უფლება დიდი ხანია მეფეს აღარ ეკუთვნის. ომის გამოცხადებისა და ზავის ჩამოგდების უფლებაც დიდი ხანია მარტო პარლამენტის ხელშია და ასეც უნდა იყოს: პარლამენტი ამტკიცებს ყოველ წლის შემოსავალ-გასავალს და მოდი და მეფემ უფულოდ იომოს და უტყვიო-წამლოდ ისროლოს ზარბაზნები. დამნაშავის პატიება ყველა სახელმწიფოში მეფეს ეკუთვნის, გარდა ინგლისისა. აქ დამნაშავის პატიება მხოლოდ სამინისტროს შეუძლიან. საპოლიტიკო დამნაშავეთა პატიების უფლება-კი—საზოგადოებათა პალატას ეკუთვნის. თუ დეპუტატებმა გადასწყვიტეს—საპოლიტიკო დამნაშავეს ეპატიოს დანაშაულიო, ამ გარდაწყვეტილებას წინ ვერავინ დაუდგება. თუმცა კანონის ძალით სახელმწიფო შემოსავალი მეფეს ეკუთვნის, მაგრამ ნამდვილად-კი ერთის გროშის დახარჯვის ნება არა აქვს იმაზედ მეტისა, რაც პარლამენტისაგანა აქვს დანიშნული და ძლიერ გულითაც რომ მოინდომოს მეტის დახარჯვა, ფულს არავინ მიართმევს. დედოფალ ვიქტორიას პარლამენტი წელიწადში 325,000 გირვანქა სტერლინგს აძლევს სასახლის ხარჯად და 60,000 გირვანქას კიდევ საკუთარ ხარჯისთვის (გირვანქა სტერლინგი 10 მანათია.)

თუ ვინიცობაა ეს ფული არ ეყო და მომეტებული დასჭირდა, პარლამენტს უნდა მიჰმართოს და სთხოვოს. ერთხელ პარლამენტში ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზედ, ტახტის მემკვიდრე პრინცს ჯამაგირი მოვუმატოთო, მაგრამ დეპუტატთა უმრავლესობამ არა ჰქმნა და ასე სთქვეს: ეყოფა, რაც ჯამაგირი აქვს, ეგეც ძლიერ ბევრი არისო.

ამ გვარად ყოველი უფლება და მართვა-გამგეობა სამეფოსი ინგლისის პარლამენტის ხელშია. პარლამენტს შეუძლიან გამოსცეს ახალი კანონი და გააუქმოს იგი, სულ ერთია რის შესახებაც უნდა იყოს ეს კანონი, საეკკლესიო იქმნება იგი, საერო, სამოქალაქო, სამხედრო, საზღვაოსნო თუ სისხლის სამართლისა. ყოველივე საქმე, რომელიც-კი სასამართლოს არ ეკუთვნის, პარლამენტის ხელშია. ასე გასინჯეთ, პარლამენტს შეუძლიან შესცვალოს წესი სამეფო ტახტის მემკვიდრეობისა, ჩამოართვას ტახტის უფლება კანონიერს მემკვიდრეს (ასეთი მაგალითები ყოფილა ინგლისის ისტორიაში), შეუძლიან შესცვალოს სარწმუნოება (ესეც ყოფილა), შეუძლიან შესცვალოს მთელი წეს-წყობილება ინგლისის სამეფოსი და აგრეთვე თვით პარლამენტისა. პარლამენტს შეუძლიან სრულიად გააუქმოს ანუ შესცვალოს ბრძანება მეფისა. წელან მოგახსენეთ, რომ კერძო კაცის უფლება ინგლისელ კაცისა ხელშეუხებელია-მეთქი. ადამიანის პიროვნულ და საოჯახო უფლებაზედ წმიდა, პატივსაცემი და ხელ-შეუხებელი არაფერია ინგლისში. მაგრამ ასე ბრძანეთ, პარლამენტს შეუძლიან შეეხოს ამ უფლებას და კერძო კაცის საქმეში ჩაერიოს. ესე-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი შემთხვევა ძლიერ იშვიათია ინგლისში და საგანგებო გარემოებით თუ არის ხოლმე გამოწვეული. პარლამენტს შეუძლიან ძუძუ მწოვარა ყმაწვილი სრულწლოვანად აღიაროს; კანონიერი შვილი—უკანონოდ და უკანონო—კანონიერად; პარლამენტს შეუძლიან უკანონო ქორწინება კანონიერად იცნოს და კანონიერი დაარღვიოს. პარლამენტსავე ეკუთვნის უფლება გამართოს რკინის გზები, ნავთ-სადგურები და სხვ. ერთის სიტყვით ინგლისში პარლამენტის გარდაწყვეტილებებს ვერავინ გააუქმებს, ურჩობას ვერავინ გაუწევს.

ა. ნ.

ეპირში 98,000 კაცი გვყავდაო.

როდესაც კორესპონდენტს უკითხავს, ზავის ჩამოგდების შემდეგ საბერძნეთის მთავრობა ჯარის საუკეთესოდ შეიარაღება-გაწყობის საქმეს ხომ არ შეუდგებაო, რალის უპასუხნია, რომ ეგ საქმე ჯერ-ჯერობით უნდა გადავდოთო. ჩვენი პირველი საზრუნავი ზავის შემდეგ თესალია იქნებაო. ყოველის მხრივ უნდა მოვაწყოთ ამ ბუნებით მდიდარის, მაგრამ გაღარიბებულის პროვინციის საქმეებიო. რაც ოსმალეთის ჯარი მეტს ხანს დარჩება თესალიაში, მით უფრო გაჭირვებასა და განსაცდელში ჩავარდებიან მკვიდრი მცხოვრებლებიო. ჯერ ეხლა მთავრობა თავისს ხარჯით 150,000 კაცსა ჰკვებსო. თუ როგორც ამბობენ, წრევანდელი მოსავალიც ოსმალებმა წაიღეს, თესალიელები შიმშილით ამოწყდებიან, რადგანაც ჩვენც იმდენი არ გვექნება, რომ ამოდენა ხალხს დახმარება გავუწიოთო. აი, სწორედ ამიტომ გვინდა რაც შეიძლება მალე გათავდეს ზავის შესახებ მოლაპარაკება. ევროპა ვალდებულია ნება არ მისცეს ოსმალეთს საქმე გააზვიადოს და მოლაპარაკებამ კიდევ დიდ ხანს გასტანოს. თესალიის წრევანდელი მოსავალი 25 მილიონი ფრანკი ღირება და აბა, თქვენვე იფიქრეთ, ამის ხელიდგან გამოცლა რა ხეირს დააყრის საბერძნეთს და თესალიას. რაც შეეხება სამხედრო ჯილდოს, ჩემის აზრით, იგი 1,600,0(0 გირვ. სტერლინგს არ უნდა აღემატებოდეს, რადგანაც მეტის გადახდა საბერძნეთის ფინანსებს არ შეუძლიანო.

## ნაკვესი

„ერთმა ნაზმა ქალმა აღდგომის გასულს წრიპინით დაიწყო „ქრისტე აღსდგა“-ს გალობა. მეტის-მეტად რომ გააჭიანურა, იქვე მყოფმა ცნობილმა გურულმა გოჯასპირმა შენიშნა:

— ქალბატონო, მაგი „ქრისტე აღსდგა“ თუ სააღდგომოდ გინდოდა, თედორობის შაბათს დაგეწყო და დღეს ქე გაათავებდიო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ციმბირის რკინის გზა რომ გაიმართება, ადამიანი 33 დღეში შემოივლის მთელს ქვეყანას, ე. ი. 47 დღით უფრო ადრე, ვიდრე ჟიულვერნის რომანშია აწერილი. ვსთქვათ პეტერბურგიდგან წავიდა კაცი 1 იანვარს, 8 იანვარს ვლადივოსტოკში იქმნება; აქედგან სან-ფრანცისკოს მივა 18 იანვარს. ნიუ-იორკამდე—23 იანვარს, 29 იანვარს ბრემენში და იქიდგან სამ დღეზედ პეტერბურგში დაბრუნდება.

***

ტრანსვაალში ერთს კაცს ორი მაიმუნი ჰყავდა. მაიმუნები დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს მადნებში მომუშავეთ და მალე შეეჩვივნენ მუშაობას. ეს ამბავი ძლიერ მოეწონა მადნების პატრონს, დააყენა მაიმუნები მადნებში და მუშაობა ასწავლა. ამ ჟამად ამ მადნების პატრონს 20 მაიმუნი მუშა ჰყავს თურმე, რომლებიც ძლიერ ერთგულად ჰმუშაობენ მადნებში.

***

რა შეუძლიან გიპნოტიზმს? სტოკჰოლმში მოვიდა ერთხელ სახელოვანი არტისტი ქალი იდა აალბერგი. თეატრში არტისტები ვერაფრად დაუხვდნენ და დაიწყეს მის წინაალმდეგ ინტრიგები. გამოჩენილს არტისტ ქალს ეს ისე ძლიერ ეწყინა, რომ ავად გახდა, ხმა წაუვიდა და თამაშობის ხალისი დაეკარგა. მაშინ თეატრის ადმინისტრაციამ მიჰმართა გამოჩენილს მკურნალს ვეტერტრანდს. მკურნალმა გიპნოტიზერმა დააძინა არტისტი ქალი და ჩააგონა ამა და ამ საათზედ გაიღვიძე და რაც შეიძლება, კარგად ითამაშეო. მართლაც იდა აალბერგმა იმ დღეს ისე მშვენივრად ითამაშა, რომ მთელი თეატრი გაოცებული დარჩა და ხუმრობით ამბობდნენ, იდა აალბერგი დღეს ისე მშვენივრად თამაშობს, თითქოს ჰიპნოტიზმი მოქმედებს მაზედაო. რა იცოდა ხალხმა, რომ ეს ხუმრობა სრული ჭეშმარიტება იყო.

***

საფრანგეთის მეცნიერი ანრი დე-ვარვილი სწერს:

ხუთის წლის წინად ფენკლენდის კუნძულე(?)თან გემის „Star af-the-Fast“-ის ნავოსნებმა დაინახეს უშველებელი ვეშაპი. ნავოსნები ჩადავიდნენ ნავებზედ და დაიწყეს ნადირობა ვეშაპზედ. მალე ვეშაპი სასიკვდილოდ დასჭრეს შუბებით. ამ დროს ვეშაპმა დაჰკრა კუდი ერთს ნავს და გადმოაბრუნა. ნავოსნები ზღვაში ჩაცვივდნენ. ამხანაგები მოეშველნენ, მაგრამ ორი ამხანაგი ვერ გადაარჩინეს. ერთი კაცი დამრჩვალი იპოვნეს, მეორე-კი, სახელად ჯემს ბარტლეი, ვერსადა ჰნახეს.

ვეშაპი რომ მოკვდა, გემზედ ამოათრიეს, მეორე დღეს გასჭრეს და მუცელში ნახეს დაკარგული ამხანაგი ბარტლეი. წარმოიდგინეთ ნავოსნების გაოცება, როდესაც ბარტლეი ცოცხალი ნახეს. თურმე მხოლოდ გულ-წასული იყო. როგორც იყო ბარტლეი მოაბრუნეს. სამის კვირის შემდეგ ბარტლეიმ ლაპარაკი შესძლო და უამბო ამხანაგებს:

— კარგად მახსოვს ის წამი, ვეშაპმა რომ ნავი გადააბრუნა, წყალში ჩავვარდი და ვეშაპმა გადამყლაპა. ერთის წუთის შემდეგ ვიგრძენ, რომ ვეშაპის მუცელში ვარ. ადგილი თუმცა საკმაო იყო, მაგრამ ძლივსა ვსუნთქავდი. სიცხე ძლიერ მაწუხებდა. ასე მეგონა, ცოცხალი ვიხარშები. უფრო ის ფიქრი მტანჯავდა, რომ ვეშაპის მუცელში უნდა ამომივიდეს სული. გონება არ დამკარგვია. მხოლოდ საშინელი სიჩუმე მტანჯავდა. ბოლოს გული წამივიდა“

ეს ამბავი უტყუარია. გემის „Star-af-the-Fast“-ს კაპიტანმა, ყველა ნავოსნებმა და თვით ჯემს ბარტლეიმ დაიფიცეს, სრული ჭეშმარიტება არისო. კაპიტანს უთქვამს, სხვა დროსაც მინახავს, რომ ვეშაპს კაცი გადაეყლაპოს, მაგრამ ის-კი არ გამიგონია, რომ ადამიანი ცოცხალი გადარჩენილიყოსო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 ივნისი.

**ბომბეი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისიის წევრს რანდს, როდესაც ის დაბრუნდა გუბერნატორის სახლიდგან, სადაც საიუბილეო ბანკეტი იყო გამართული, თოფი ესროლეს. რანდი მძიმეთაა დაჭრილი. სურსათის გამგე მოხელე დიერსტი მოჰკლეს. იმავე კომისიის კომისარი მძიმეთაა დაჭრილი. მკვლელობა გამოიწვია სასტიკმა ომებმა, რომელნიც შავი ჭირის გავრცელების წინააღმდეგ იქმნა მიღებული. სხვების აზრით, ამ მკვლელობეებს კავშირი აქვთ იმ ფურცლებთან, რომელშიაც დედოფალი იუბილეის გამო, ცუდად იხსენიება. ამავე ფურცლებში დამონავებულ ინდოელთა დახმარებას შესთხოვენ. განათლებულ ქვეყანას და სწერია, რომ არ შეშვენის დღესასწაულები მაშან, როდესაც მძვინვარებენ შავი ჭირი, შიმშილი და მიწის-ძვრა. ყველანი აღელვებულნი არიან. დამნაშავეთა დამჭერთ დიდი ჯილდო აქვთ აღთქმული.

**ვინდზორი.** ადმირალთა ლორდი და უცხო სახელმწიფოთა გემების ადმირალები მიწვეულ იქმნენ დარბაზში საუზმეზე. საუზმის შემდეგ, უცხო სახელმწიფოთა ადმირალებმა დედოფალი ინახულეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

14 მაისს «ივერიის“ მე-92 №-ში დაბეჭდილი იყო საჩივარი იმის შესახებ, რომ ბორჯომის რკინის გზის სადგურიდგან გაზეთები დროზედ არ მოგვდისო; კარგია, თუ მესამე, ან მეოთხე დღეს მივიღეთო და ისიც ვინ იცის ვისგანაო. ეს ყველა კარგი, მაგრამ შესაძლებელია განა, რომ სამ ვერსზედ გაზეთები მიართვას დამტარებელმა? ბორჯომიდგან რკინის გზის სადგურამდის სამი ვერსია. ამას არც კანონი ავალებს ფოსტის დამტარებელს. საკვირველია, ამოდენი ხანია ვმსახურებ ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და არამც თუ ქართველები არიან და ყოფილან მადლიერნი, არ მახსოვს სამდურავი ვისმე გაეცხადებინოს, გაზეთები და წერილები თავისს დროზედ არ მოგვდისო. ამას გარდა, მე ნამდვილად ვიცი, და ჩემი ვალიც არის ვიცოდე რკინის გზის სადგურის ახლო ვის მოსდის ქართული გაზეთები და ან ვინ არის იქ ქართველი და ყველა, ვინც-კი გაზეთს იწერს, თავისს დროზედ იღებს გაზეთებსაც და წერილებსაც. ახლა აღარ მესმის რამ აიძულა ეს „ივერიის“ მოამბე, რომ ასეთი შეუსაბამო ამბავი შესთხუზა?

ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე
ვ. მძინარაშვილი

—

გულითადს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ ლ. ი. ყოყოჩევს, რომელმაც შემოსწირა ს. ბრეძის მცხოვრებლებს პირველ დახმარებისთვის საჭირო წამლები. თუ არა ვცდები, ეს პირველი მაგალითია ჩვენში და სასურველია, რომ ერთად-ერთ მაგალითად არ დარჩეს და სხვებიც შეძლებისამებრ დახმარებოდნენ ექიმობის მხრივ ჩვენს ყოვლად უნუგეშოდ დატოვებულს სოფელს.

სტ.-ექ. ა. მუსხელი

—

ჭიათურაში ამ სამი-ოთხის თვის წინად ერთმა შავის ქვის მწარმოებელმა ხელისმოწერით სამი თუმანი შეაგროვა შემოქმედის (ოზურგეთის მაზრა) უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ. ეს ფული თითქმის მთლად მდაბიო ხალხში არის შეკრებილი თითო მანეთობით და დღემდის არა ვიცით-რა ვის გადაეცა ეს კარგი იქნება ბ-ნი ერქომაიშვილი ინებებდეს და გაზეთის საშუალებით გვაცნობებდეს, გადასცა თუ არა ხსენებული ფული დანიშნულებისამებრ.

იანეულისელი


# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა,

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ განსვენებულის მეირფასის ჩვენის მამის, პირველის გილდის ვაჭარის თეოფანე ნიკოლოოზის ძის ავგერინოს სახსოვრად კვლავ განვაგრძობთ ვაჭრობას ქალაქ ფოთში ასეთის ფირმით.

„თეოფანის ნიკოლოოზის ძე ავგერინოს“

ფირმას განაგებს ამხანაგობა და მისს უფროსად ითვლება ნიკოლოოზ თეოფანეს ძე ავგერინო, ხოლო ფირმის წარმომადგენლებად ვითვლებით ორთავენი, აგრეთვე ყოველსავე საკომერციო ქაღალდებს ხელს ორთავენი მოვაწერთ.

იმედი გვაქვს, რომ არ მოგვაკლებთ იმ ყურადღებას, რომელიც დამსახურებული ჰქონდა განსვენებულს ჩვენს მამას.

ნიკოლოოზ ავგერინოს ეპამინონდას ავგერინოს
(3—6—2)

Открыта подписка на новую большую ежедневную въ С.-Петербургѣ газету

**„МІРОВЫЕ ОТГОЛОСКИ“**

**1897 года,**

газету политическую, литературную, научную, общественную, финансовую и экономическую, **безъ предварительной цензуры**. Всѣхъ нумеровъ выйдетъ 360 въ годъ.

**Программа:** 1. Руководящія статьи по разнымъ вопросамъ. 2. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ въ Россіи и за границей, равно отъ разныхъ телеграфныхъ агентствъ. 3. Статьи и извѣстія по вопросамъ врутренней и международной политики, а также статьи научнаго и практическаго содержанія по разнымъ отраслямъ. 4. Обозрѣніе движенія русскаго и иностраннаго законодательства и государственнаго управленія. 5. Церковный отдѣлъ—духовная литература. 6. Историческіе, бытовые и этнографическіе очерки. Жизнеописанія замѣчательныхъ дѣятелей. 7. Статьи и извѣстія по разнымъ отраслямъ финансовой и экономической дѣятельности въ Россіи и за-границей. 8. Обозрѣніе событій государственной и общественной жизни. Хроника и разныя извѣстія. Некрологи. 9. Областныя обозрѣнія и корреспонденціи изъ Россіи и другихъ государствъ. Отчеты о засѣданіяхъ различныхъ обществъ русскихъ и иностранныхъ. 10. Обзоръ текушей журналистики и замечательныхъ явленій литературы русской и иностранной. Критическія статьи о вновь появляющихся въ Россіи и за-границей книгахъ и сочиненіяхъ. 11. Статьи и извѣстія по вопросамъ искуства; новости театра, музыки, ремеслъ и проч. 12. Изящная словесность—повѣсти, романы, разсказы, сцены, стихотворенія, мемуары и путешествія. 13. Судебная хроника—русская и иностранная; судебныя рѣшенія и ихъ обсужденіе. 14. Статьи и извѣстія о движеніи повсемѣстно въ Россіи и за-границей промышленности, сельскаго хозяйства, торговли, горнаго дѣла и торговаго мореходства. 15. Статьи и извѣстія о дѣйствіяхъ русскихъ и иностранныхъ акціонерныхъ комиссій и разныхъ видовъ товариществъ. 16. Биржевыя извѣстія внутранняя и заграничныя. Ярмарки. Урожаи. 17. Рисунки историческіе и бытовые, соотвѣтствующіе содержанію статей. Портреты замѣчательныхъ дѣятелей. 18. Справочный отдѣлъ. 19 Казенныя и частныя объявленія.

**„Міровые Отголоски“** будутъ выходить въ объемѣ отъ однаго до двухъ листовъ формата бывшей газеты „Голосъ“ и будутъ печататься подобнымъ же крупнымъ и четкимъ шрифтомъ.

Всякаго рода рисунки и портреты будутъ печататься какъ въ текстѣ газеты, такъ и на особомъ полулистѣ, выходящемъ еженедѣльно по воскресеньямъ.

**Подписная цѣна въ Россіи:** безъ доставки на годъ—14 р., 6 м.—8 р., 3 м.—4., 1 м.—1 р. 50 к. Съ доставкой по городской почтѣ на годъ—16 р., 6 м.—9 р., 3 м.—4 р. 50 к., 1 м.—1 р. 80 к Съ пересылкою иногороднымъ на годъ—17 р., 6 м.—10 р., 3 м.—5 р. 50 к., 1 м.—1 р. За-границею: на годъ—26 р., 6 м.—14 р., 3 м.—8 р., 1 м.—3 р.

**Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ:** для служащихъ—по соглашенію съ конторою чрезъ ихъ казначеевъ, для неслужащихъ—на слѣдующихъ условіяхъ: 6 р. при подпискѣ, 6 р. въ концѣ марта и 4 р. въ концѣ августа для городскихъ, 7 р при подпискѣ, 7 р. въ концѣ марта и 3 р. въ концѣ августа для иногородныхъ подписчиковъ.

**Подписка принимается** въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ редакціи „Міровыхъ Отголосковъ“, Фонтанка (уголъ Лештукова переулка), домъ № 80, а также въ книжныхъ магазинахъ: Фену и К°, Невскій пр. 40, М. М. Ледерле, Невскій пр., 42 и Н. П. Карбасникова, Литейная ул., 46; въ Москвѣ—въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Моховая, домъ Коха, и въ Варшавѣ—въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Новый Свѣтъ, 69.

Редакторъ-издатель *К. В. Трубниковъ.*

(6—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 13 го Юнія 1897 г. სტამბა ჭ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.